პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— დეკემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ქედის ქუჩის გავრცელების არეალის დაზუსტების და ქედის ქუჩის მონაკვეთისთვის ხანძთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ქედის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ხანძთის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, გაუქმდეს ქედის ქუჩის სახელწოდება ყველა იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელიც აღნიშნული არ არის ამ განკარგულების I პუნქტში თანდართულ რუკაზე.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


ბაბილოს ქუჩა
ბაბილოს I შესახვევი
ბაბილოს II შესახვევი
ბაბილოს I ჩიხი
ბაბილოს ქუჩა
ბაბილოს II შესახვევი
ბაბილოს I შესახვევი
ბაბილოს ქუჩა
ბაბილოს ქუჩა
ბაბილოს ქუჩა

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

05 / დეკემბერი / 2025 წ.

KA011708876351325

№ **277231**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) წარედგინა მოქალაქე დავით ბერიძის (პ/ნ 38001033126) განცხადება M25015794, რომლითაც მოთხოვნილია 01.72.13.467.014 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთისთვის საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში მისამართის დაზუსტება. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად ამჟამად მითითებულია - „ქალაქი თბილისი, გლდანის მასივის ტერიტორია“.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული წარმოების ფარგლებში მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები სახელწოდებებით:

- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, ქედის ქუჩა;
- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის ქუჩა;
- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის I შესახვევი;
- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის II შესახვევი;
- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის III შესახვევი;
- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის I ჩიხი;
- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის II ჩიხი;
- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის III ჩიხი;
- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის IV ჩიხი;
- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის V ჩიხი.

ამასთან, სამისამართო რეესტრში აღრიცხული მონაცემების თანახმად, "ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, ქედის ქუჩის" და ‘’ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის II შესახვევის’’ მოხაზულობა კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს (იხ. თანდართული სიტუაციური ნახაზი). სააგენტოში დაცულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 26 აპრილის N42 დადგენილება, რომლის საფუძველზე ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, „მუხიანი -2“-ის უსახელო ქუჩებს დაერქვა შემდეგი სახელები: პირობითად 47-ე ქუჩას - საირმის ქუჩა, ხოლო პირობითად 53-ე ქუჩას - ქედის ქუჩა.

საქმისათვის არსებითი გარემობების გამოკვლევისა და ნუმერაციის კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების გათვალისწინების მიზნით, გთხოვთ, უზრუნველყოთ "ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, ქედის ქუჩის" და ‘’ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის II შესახვევის’’, სამისამართო რეესტრში აღრიცხული გეოგრაფიული მონაცემების სისწორის გადამოწმება და მოხაზულობის თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის მოწოდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,


 სიტუაციური რუკა
N
01.72.13.467.010
72.13.30.354
01.72.13.467.016
72.13.30.294
72.13.30.356
72.13.30.355
72.13.30.295
72.13.30.290
72.13.30.291
72.13.31.174
72.13.31.175
72.13.31.180
72.13.31.176
72.13.31.182
72.13.30.531
72.13.31.552
72.13.30.378
72.13.30.349
72.13.31.264
01.72.13.467.603
01.72.13.458.011
01.72.13.458.015
72.13.31.265
72.13.30.376
72.13.31.526
72.13.31.456
01.72.13.461.003
01.72.13.467.014
72.13.31.525
72.13.31.457
72.13.31.284
72.13.31.267
72.13.31.191
72.13.31.578
72.13.31.490
01.72.13.461.001
01.72.13.458.018
72.13.31.268
01.72.13.458.620
72.13.31.303
72.13.31.286
72.13.31.492
72.13.31.192
01.72.13.458.616
01.72.13.461.004
72.13.31.578
72.13.31.195
72.13.31.353
72.13.31.354
72.13.31.196
0 10 20 40 60 80
მეტრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032535017**
თარიღი: **16/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 08 დეკემბრის საქმე #06-032533995-03 დაკავშირებით, რომლითაც დავით ბერიძის M25015794 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია მისამართის დაზუსტება (ს.კ. 01.72.13.467.014).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ქედის ქუჩის მონაკვეთის (მონაკვეთი ჩამოყალიბდება ხანძთის III შესახვევად) და საირმის II შესახვევის სიტუაციური ნახაზები დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი